ქართული აზრი
GEORGIAN OPINION

№ 72 ნიუ-იორკი, ოქტომბერი 1965 წ. GEORGIAN OPINION NEW YORK, OCTOBER 1965

„ყოველგვარი სიძულვილის გარეშე, ყველასადმი სიყვარულით, სიმართლის ღრმა რწმენით, რამდენათაც ამის დანახვის შესაძლებლობას ღმერთი გვაძლევს, ვეცდებით მივიყვანოთ ჩვენი საქმე ბოლოამდე“.

აბრამ ლინკოლნი. 1865 წ.

ნიუ-იორკი, სექტემბერი 1965 წ.

1924 წლის აჯანყებასთან დაკავშირებით „ქართული აზრის“ რედაქციამ საჭიროთ დაინახა არა პათეოიური სტატეების წარმოთქმა, არამედ, საზოგადოთ განხილვა, თუ რა პირობებშია შესაძლებელი აჯანყების წარმატება. „ქართული აზრის“ წინამდებარე ნომერში გამოქვეყნებულ, სხვადასხვა ქვეყნებში მომხდარ გამარჯვებულ, თუ დამარცხებულ აჯანყებების ნიმუშებს მხოლოდ იმ დასკვნამდე მიეყვანართ, რომ აჯანყების გამარჯვება დამოკიდებულია 1. ერის ორგანოულ გაერთიანებაზე, 2 რომ აჯანყების იდეა უნდა გასცილდეს საკუთარ საზღვრებს და ის საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის თანაგრძნობით სარგებლობდეს და 3. რომ აჯანყებულთა მეთაურებმა უნდა მოახერხონ იმ ქვეყნის მორალურ-მატერიალური დახმარების მიღება, რომლის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესები დაპირდაპირებულია იმ ძალასთან, რომლის წინა აღმდეგ აჯანყებულები იბრძვიან. გამარჯვების ამ სამი წინასწარი პირობიდან ერთის გამოკლება, აჯანყების ჩაფუშვას მის დამარცხებას მოასწავებს.

სწორად ამ თვალსაზრისით გვინდა თვალი გადავაგლოთ 1924 წ. საქართველოს აჯანყებას და, რამდენათაც ამის შესაძლებლობას ღღეევანდელი პირობები იძლევა, აღვნუსხოდ მისი დამარცხების მიზეზები.

1921 წლის თებერვალში საქართველოს დამოუკიდებლობის რუსის ხიშტით დამხობას და ჩვენს საშობლოში რუსულ-ბოლშევიკური რეჟიმის გაბატონებას, ერთნაირი მწუხარებით შეხვდა ყოველი ქართველი. მთელ საქართველოს აერთიანებდა დამპყრობელისადმი შეურიგებლობა და მასთან ბრძოლის სურვილი. აქა-იქ კიდეც გაისმა იარაღის ჩხარუნი და ჰაერი აჯანყების სულით გაიკუნთნა. სპონტანულ, უორგანიზაციო აჯანყებულთა დაჯახებები დამპყრობელ ძალასთან გახშირდა და ამ სულისკვეთების შეჩერება შეუძლებელი ხდებოდა.

იმდროინდელი საქართველოს ეროვნული მეთაურობა ან ხალხის სულისკვეთებას უნდა გაჰყოლოდა, ან სრულიად გაირიყებოდა.

ცხადია, არც ეროვნული მეთაურობა იქნებოდა დამპყობელთან ბრძოლის სურვილ ნაკლული, მაგრამ ეროსი და ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობა მას ავალდებულებდა თავისი სურვილების დოკეკნას, დროისა და გარემოების მიხედვით სიფრთხილეს და ზომიერ მოქმედებას. ეროს მეთაურის მოვალეობა იყო აღგზნებული ხალხი დაერაზმა და ის გამარჯვების წინდაწინა პირობის დაცვით გამოეყენებინა. საჭირო იყო ერთი გრძნობით, ერთი სულისკვეთებით ამხედრებულ ხალხს, ერთი ბელადი, მეთაური გასჩენოდა და გამარჯვებისაკენ წასძღოლოდა.

ერთ პიროვნული ბელადის ნაცვლად, საქართველოს განმთავისუფლებელ ბრძოლას „პარიტეტული კომიტეტი“ ჩაუდგა სათავეში, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის ნიადაგზე მდგარ პარტიათა წარმომადგენლებისაგან შესდგებოდა. მართალია თვით პარტიებში ჯარბად იყო მოცემული დამოუკიდებლობის იდეა, მაგრამ მაინც ეს იყო პარტიების, ე. ი. ერის ცალ-ცალკე ნატეხების ერთად დადება და ამიტომ ქართველი ხალხის ეროვნულ-ფსიქოლოგიურ გაერთებას მოკლებული. მაშასადამე, პარიტეტული კომიტეტი არ შეიძლება ჩაითვალოს ქართველი ერის შინაგანი განცდების აფსოლუტურ გამომსახველად. ამ დროს ქართველი ერი გაერთიანებული იყო სულიერ იდეურად; პარიტეტული კომიტეტი კი ერის დაქსაქსული ნაწილების ხელოვნურად მიტმასნებული ორგანო იყო. ამ დებულების თანახმად, პარიტეტული კომიტეტი უფრო მუხრუჭად მოეელინებოდა ერის ორგანიულ გაერთიანებას და კიდეც, შეიძლება, მისი ნაწილების განცალკევების ხელის შემწყობ ორგანოდ იქცეოდა. მხედველობაში ისიც არის მისაღები, რომ პარტიათა წარმომადგენლები ჯერ კიდევ არ იყვნენ პარტიულ-პროგრამული ინტერესებისგან განტვირთულნი და, ხშირად, მათი ინტერესები ერთი-მეორეს ეჯახებოდნენ. ცხადია, ერის ტრაღიკულ მომენტში, მდგომარეობას ეს უფრო გაართულებდა და გამარჯვების წინასწარ პირობაში ბზარს შეიტანდა.

ლიდერების ამგვარ განწყობილებას პარტიების „უნტერ-ოფიცრობა“ უფრო განავითარებდა და გააღრმავებდა. 1924 წლის აჯანყების მონაწილეთა ზოგი მოგონებები იმის უტყუარი საბუთია, რომ, მართალია ყოველი მათგანი იბრძოდა რუს მპყრობელის წინააღმდეგ, მაგრამ არ იეიწყებდა არც პარტიული მრეკლის გამრავლებას და ანტირუსულ ბრძოლის მზადებაში მრავლად იყო ჩართული პარტიულ პროგრამული ინტერესები და პროპაგანდა. ამგვარი გაორებული მუშაობა, აჯანყების წარმატების გარანტიად ვერ ჩაითვლება და ის წინასწარ განწირული იქნებოდა.

ეროვნული და პატრიოტული საქართველოს ლიდერობის ამ განწყობილების შედეგად უნდა ჩაითვალოს, რომ ყველაზედ უფრო ორგანიზებული, ყველაზედ უფრო მომზადებული და ავტორიტეტული, 1922 წ. აჯანყებამ, მხოლოდ ნეკსოერთ-კახეთის გამოსვლის სახელი მიიღო და მან არამც თუ ვერ გაიმარჯვა, არამედ საყოველთაო ქართულ, ეროვნულად ვერ იქცა.

1922 წ. მსოფლიოში ანტირუსული, ანტიბოლშევიკური ძალები ჯერ კიდევ აქტიურად მოქმედებდნენ. თვით ბოლშევიკური რეჟიმი სუსტი და განუმტკიცებელი იყო. 1924 წ. სურათი ამ მხრივაც გამოიცვალა. ეს ის პერიოდი იყო, როცა „კანიბალებთანაც კი ვაჭრობის“ თეორია ფეხს იკიდებდა და ანტირუსული მოქმედებიდან, დასავლეთის ქვეყნები, რუსულ ბოლშევიკურ რეჟიმის ცნობაზე გადავიდნენ. ამ პირობებში აჯანყებულ საქართველოს მოკავშირის და დამხმარეს გაჩენაზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტი იყო.

მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ იმ პერიოდში საქართველოს ორი მეთაურობა ჰყავდა: შიგნით, მებრძოლ პარტიებისაგან შემდგარი პარიტეტული კომიტეტი და გარეთ, საქართველოს უფლება მოსილი მთავრობა. ცხადია, პირველი მეორეს უნდა დამორჩილებოდა და კიდეც ემორჩილებოდა. რამდენათაც ბუნებრივად არ უნდა მივიჩნიოდ ეს მდგომარეობა, აჯანყების გამარჯვებისათვის მაინც ხელის შემშლელი უნდა ყოფილიყო. წარმოუდგენელია, რომ ამ ორთავე ხელმძღვანელებას შორის, შინაგანი, ფარული წინააღმდეგობა არ გაჩენილიყო და ყოველ მათგანს არ ეცადა, თავისი ავტორიტეტის გაზრდის მიზნით, შესაძლებლობების გადაჭარბება.

თანამედროვე პირობებში, როცა საქმე გვაქვს უხეშ, ბარბაროსულ მპყრობელთან და ბრძოლა გრძელდება, უფრო მეტის თქმა და საკითხის დეტალიზაცია, საქმეს არ არგებს. მაგრამ ასე მორიდებულად, ცალი თვალის გადაკვლებითაც, საკმარისია 1924 წ. აჯანყების და იმ დროინდელი პირობების განხილვა, რომ დამარცხების მიზეზები ნათლად წარმოვიდგინოთ.

მაგრამ, საკითხის შესწავლა ნათელს ხდის, რომ უმთავროოდ, თუ პარიტეტული კომიტეტის მეთაურობით, აჯანყება მაინც მოხდებოდა. ქართველი ერის შეურიგებლობის სულისკვეთების შეჩერებას ვერავითარი სასწაული ვერ შესძლებდა.

პარიტეტული კომიტეტის დამსახურებაც სწორედ ის არის, რომ ზღვად მოწოლილ აჯანყების ფსიქოზს მან ორგანიზაციული გამოსავალი მისცა და, შეძლების დაგვარად, ერი ზედმეტ წვეტებას აიცდინა.

1924 წ. აგვისტოს აჯანყების 41 წლისთავზე, ვიგონებთ და მუხლს ვიდრეკთ იმ ხალეულ, თუ უხლიავ ვმრთა წინაშე, რომლებმაც საქართველოს უკვდავების ხე საკუთარი სისხლით მორწყეს და მისი ფესვები განამტიეცეს.

„ვინც რომ მოკვდნენ მეფეთათვის,
სულნი მათნი ზეცას რბიან“.

უკვდავნი არიან სამშობლოსათვის აღსრულებულნი.

მ. სინდიკელი.

რევოლუცია შ.შ. 1776წ.

18-ტე საუკუნეში მსოფლიო უპირატესობისათვის ორი ძალა დაუპირდაპირდა ერთი მეორეს. ეს იყო ინგლისი და საფრანგეთი. იმ ეპოქაში ინგლისი, მეფის უფლებების შეზღუდვის და პარლამენტარული რეჟიმის დამყარების გამო, განიცდიდა უდიდეს ევოლუციას. ინგლისის პარლამენტარული რეჟიმი ემყარებოდა 13-ტე საუკუნეში მიღებულ დიდი ქარტიის პრინციპებს. ამ ახალმა პოლიტიკურმა სტრუქტურამ ინგლისი ეკონომიურთათვა გაძლიერა და ინგლისის ინდუსტრიალური რევოლუცია ამ დროს დაიწყო. ჩამოყალიბდნენ დიდი საზოგადოებები უცხო ქვეყნებთან ვაჭრობა-მრეწველობისათვის. ამათში აღსანიშნავია ინგლის-ინდოეთის და ამერიკასთან სავაჭრო საზოგადოება, რომელიც სარგებლობდა მონოპოლიით. ამის წყალობით ამერიკის მოსახლეობა გახდა სავაჭრო საზოგადოების ბუნებრივი შემოსავალის, ხოლო ინგლისის მთავრობის სახელმწიფო გადასახადების მთავარი წყარო.

ინგლისის გავლენისაგან ახლად განთავისუფლებული საფრანგეთი კი ამ დროს ძველი ცხოვრებით ცხოვრობდა. იქ მეფის უფლება შეუზღუდველი და ავტოკრატიული რეჟიმი ძლიერი იყო. ლუდოვიკ მეთოთხმეტეს მიერ ტერიტორიალურად გაზრდილი საფრანგეთის ინტერესები ახდილად დაეჯახა ინგლისის ინტერესებს. მართალია საფრანგეთმა, ტაქტიკური მოსაზრებებით კანადა ინგლისს დაუთმო, მაგრამ, სამაგიეროდ, თავისი პოზიცია გაიმაგრა ლუიზიანაში და თვით საფრანგეთში. ამ ჯარ მთავარ ძალთა დაჯახებაში გადაწყდა ამერიკული კოლონიის ბედი.

ეს ის პერიოდია, როცა ამერიკის მოსახლეობა ოთხ მილიონს შეიცავდა და იყოფოდა სამ ჯგუფად: 1. ბოსტონის გარშემო, რომელსაც ახალ ინგლის უწოდებდნენ, 2. ნიუ-იუორკი და 3. ვირჯინია. ამ ჯგუფებს შორის საერთო მხოლოდ ის იყო, რომ ყველა ერთნაირად ცდილობდა ოჯახური ცხოვრების უკეთ მოწყობას და მის გაძლიერებას. საზოგადოებრივი ცხოვრების ინტერესები მათ ჯერ კიდევ არ აწუხებდათ და ის ვერც გააერთიანებდათ.

მსოფლიო ისტორია არ იცნობს სხვა შემთხვევას, რომ საზოგადოებრივი მოძრაობა პარადოქსსა და ოჯახურს უკან მიჰყოლოდა, რო გორც ეს ამერიკაში მოხდა.

საკითხავია, თუ ამ მდგომარეობაში, ამგვარი განწყობილების ხალხი, როგორ ამხედრდა უცხო ძალის წინააღდეგ და როგორ გაინთავისუფლა თავი ინგლისის გავლენისაგან?

ამაში მთავარი როლი ითამაშა თვით ინგლისის შეცდომებმა. იმის მაგიერ, რომ ადგილობრივი მოვლენები შეესწავლათ და მისთვის ალღო აეღოთ, ინგლისის წარმომადგენლები მხოლოდ სახელმწიფო გადასახადებით იყენენ დაინტერესებულნი და ინგლისური სავაჭრო საზოგადოებები კი საკუთარი მონოპოლიით და შემოსავლის გაზრდით. როგორც კი ინგლისელებმა შეიტყვეს, რომ ბოსტონის მოსახლეობას საკუთარი ინტერესები გაუჩნდა და ეს მოძრაობა თანდათანობით ძლიერდებოდა, ინგლისმა თავისი საუკეთესო გენ. ეერალდ გაგი გაგზავნა ოპოზიციის მოსასპობად. ამ დროს უკვე აშკარად გამოვიდნენ ასპარეზზე ამერიკის რევოლუციის ლიდერები ჯონ ჰანკოკ და სამუელ ადამსი. ეს ორი პიროვნება გეგის არმიამ ვერ შეაშინა და მთელი თავისი ენერგია მიუძღვნეს ინგლისური კოლონიების განთავისუფლებას. ჰანკოკმა და ადამსმა ხარკის საკითხი პრინციპიალურად დააყენეს. მათი აზრით ყოველგვარი გადასახადის მოკრება უკანონო იქნებოდა, თუ ეს ადგილობრივი ხალხის წარომადგენლებთან არ იქნებოდა შეთანხმებული. იმათ არ აშინებდათ დრო და თუ საჭირო იქნებოდა მზად იყვნენ წელიწადებიც ებრძოლად. კარგად დარაზმულ ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ მათ მიუშვეს უბარალო ფერმერები და მოუმზადებელი ხალხი. ამ ბრძოლებში მათ პარტიზანული ტაქტიკა იხმარეს. მაგ. როგორც კი ინგლისურმა შტაბმა გადაწყვეტა ადამს-ჰანკოკის დატუსაღება და ამის სისრულეში მოსაყვანად კონკორდში ჯარი გაგზავნეს, კონკორდში ინგლისური ჯარი შეუშვეს, მაგრამ უკან დასაბრუნებელი გზა მოუჭრეს და მთელი სამხედრო ერთეული გაანადგურეს. ეს იყო მათი პირველი გამარჯვება.

ამ ფატქმა გამოამეღავნა, რომ თავისუფლების მაღალ იდეის ენტუზიასტებს შეუძლიანთ გაწვრთნეული სამხედრო ერთეულთნ არა მარტო ბრძოლა, არამედ გამარჯვებაც. თანამედროვე ენით რომ ვთქვად; ბოსტონის რაიონის პარტიზანებმა დაამარცხეს ინგლისის გაწვრთნილი და კარგად შეიარაღებული რეგულარული ჯარი.

ბოსტონელ პარტიზანების გამარჯვებას ერთი გარემოებაც უწყობდა ხელს: მათი მეთაურები მოთხოვნილების სიმაღლეზე იდგნენ; მათი განათლება, უანგარობა და საქმისადმი მიძღვნილობა აჯადოვებდა ხალხს. ხოლო მათი პრინციპები და პროგრამა ახალი ცხოვრების იდეალურ გამოსახულებად იქმნა აღიარებული.

ჰარვარტის უნივერსიტეტ დამთავრებულ ჯგუფისათვის სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა, რომ ინგლისის მთავრობას ხარკი ეკრიფა ამერიკაში და არც კი მიეცათ უფლება, რომ აქაური ხალხს წარმომადგენლებს საკუთარი ქვეყნის ინტერესები დაეცვათ ინგლისის პარლამენტში. თავისუფლების ქარტიის პრინციპები იმდენად ძლიერი იყო, რომ ეს ჯგუფი მზად იყო თავი შეეწირა მისთვის. მათ ამერიკის მოსახლეობის სხვა ჯგუფებთანაც დაამყარეს კავშირი და საერთო მთავარსარდლობა ჯორჯ ვაშინგტონს დააკისრეს.

ვაშინგტონმა ამერიკის მოსახლეობა თავისუფლების იდეით მოაჯადოვა, ამ იდეით გააერთიანა და შექმნა ბრძოლის ძლიერი ორგანიზაცია. მან სწორედ დაფასა მდგომარეობა: თუ ამერიკის გნთავისუფლებისთვის ბრძოლა არ გასცილდებოდა თავის საზღვრებს ის საკუთარ წვეწმი მოიხარშებოდა და უნაყოფო გამოდგებოდა, ამიტომ მან კავშირი დაამყარა იმ ეპოქაში ინგლისის მოქიშპე საფრანგეთთან და გენ. ლაფაიეტის ბატალიონის დახმარებით ინგლისის ჯარს მისცა გადამწყვეტი ბრძოლა.

როგორც ირკვევა ინგლისთან გამარჯვებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა იმან, რომ ადგილობრივ მოსახლეობის, ე. ი. ამერიკის განთავისუფლების ბრძოლას ვაშინგტონმა მისცა ფართო ხასიათი. ეს მოძრაობა გასცილდა ამერიკის საზღვრებს და ის გადაიქცა საერთაშორისო საკითხად.

1783 წ. ბრძოლის დაწყების შვიდი წლის შემდეგ, ინგლისმა, პარიზის ხელშეკრულებით იცნო და შეურიგდა ამერიკის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას.

გ. ზალდასტანიშვილი.

●

...ჩვენ ისე შევეჩვიეთ,
ჩვენ საკუთარ ფერსა და ხმას,
რომ ვერასდროს ვერ გაუძლებთ
გამარჯვებულ რუსას ჩექმას.

●

მე დავდიოდი, როგორც შამილი,
მომავლის ბედი კვალ და კვალ მსდევდა
და ივსებოდა გულში შხამივით,
ბესიკის ბაღში ნაზარდი სვედა.

●

ზეინაბათ გადვიქცევით,
გულს ჩავიკლავთ აღთქმას შმაგურს
და უსისხლოდ მტერს არ მიეცემთ,
არც ერთ კუთხეს, არც ერთ ავგურს.

●

თქვენ ამბობდით საქართველომ,
რაც უნდა რომ გაიბრძოლოს,
ის რუსეთს კომუნისტად,
გადიქცევა მაინც ბოლოს,
ხომ ასრულდა, თქვენ მოხველით,
ჩვენ მიგიღეთ ორივ ხელით,
მაგრამ ხალხი არ შეგარჩენთ,
სხვის ხიშტით, რომ შემოხველით.

ი. გრიშაშვილი

უნგრეთის აჯანყება.

1956 წ. დასასრულს უნგრეთში მომხდარი აჯანყება სავსებით განსხვავდება სხვა ერების აჯანყებებისაგან.

ქართული ისტორია სავსეა აჯანყებებით: კერძოდ რუსეთის წინააღმდეგ, ჩვენს წინაპრებს, და ჩვენს თაობასაც, არა ერთხელ აუღია მახვილი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად. მაგრამ, უმთავრეს შემთხვევებში, როგორც სხვაგან, ისე საქართველოში, აჯანყებას წინ უსწრებდა სათანადო მუშაობა, მომზადება და ძალების თავმოყრა.

უნგრეთის აჯანყებას კი სწორედ ეს აკლდა და ამიტომ ის ეკუთვნის, განსაკუთრებული ტიპის აჯანყებას, რომელსაც დაუგეგმავი და მოუმზადებელი, ე. ი. სპონტანური ეწოდება.

მართალია უნგრეთის აჯანყებამ ფართო ხასიათი მიიღო და მას ანტირუსული და ანტიკომუნისტური შინაარსი ჰქონდა, მაგრამ მისი ინიციატორები,—სტუდენტები და მუშების რევოლუციონერი საბჭოები, დასაწყისში, სრულებით სხვაგვარად ფიქრობდნენ. მათი პირველდაწყებითი შთაგონებანი უნგრეთის კომუნისტური მმართველობა „მარქს-ლენინურ პრინციპებს ღალატობდა“ და ეს იყო გამოსასწორებელი. უნგრეთის აჯანყებამ ანტიკომუნისტური, ე. ი. ეროვნული ხასიათი მხოლოდ მაშინ მიიღო, როცა რუსული ტანკების მრისხანება აშკარა გახდა.

შესაძლებელია ეს ერთგვარი ხერხიც იყო, რათა რუსული ჯარის ჩარევა თავიდან აეცილებინათ. ეს ხერხი მრავალჯერ ყოფილა გამოყენებული. მაგრამ საქმის ძიებიდან ეს მაინც არა სჩანს.

თვით უნგრეთის შეიარაღებულ ძალებს უნგრეთის აჯანყებაში, აქტიური როლი არ უთამაშია. სჩანს კი რომ მათი სიმპატია აჯანყებულების მხარეზე იყო. საკითხის შესწავლა ნებას გვაძლევს ვთქვად, რომ მრავალმა მხედარმა და სამხედრო ერთეულმა აჯანყებულებს გადასცა იარაღი და ტყვა-წყაღალი.

დაახლოვებით ოცოდე დღის ბრძოლების შემდეგ, რუსულმა ტანკებმა, რეაქტიულ თვითმფრინავებმა და ჯარმა უნგრელი აჯანყებულები დაამარცხა, რასაც თან მოჰყვა ხალხის განუკითხავი აწიოკება, დარბევა და ხოცვა-ჟლეტა.

ვიდრე ამ ხანმოკლე და სპეციალური სახის მჭონე აჯანყებაზე საერთო დასკვნას გამოვტანდეთ, საჭიროა მოკლედ განვიხილოდ მისი გამომწვევი მიზეზები და მისი მოულოდნელი განვითარების გზები.

როგორც ვიცით, 1945 წელს დასავლეთის მოკავშირეებმა ეს ქვეყანა რუსეთის „მამობრივ“ მფარველობაში მოაქცია. დასავლეთ მოკავშირეების გულუბრყვილობა, თუ უცოდინარობა, ისე შორს წავიდა, რომ პირობაც კი დასდეს: ისინი არ ჩაერეოდნენ უნგრეთის „საკონტროლო კომისიის მუშაობაში“, რომელსაც კლიმენტი ვოროშილოვი თავმჯდომარეობდა. როგორც შემდეგ დაეინახავთ ეს პირობა ზედმოწევნით იქმნა შესრულებული და „მოკავშირეთა საკონტროლო კომისიის“ წყალობით უნგრეთი საბჭოთა რუსეთის უბრალო კოლონიად იქცა. რუსეთმა არც ამ შემთხვევაში უღალატა თავის ტრადიციულ „ლიბერალობას“ და დამშეული წრუბელასავით დაეწყო უნგრეთს წოწნა. მრავალთა შორის აღსანიშნაია:

1. უნგრეთის რუსიფიკაცია. რუსული ენა გახდა სავალდებულო სკოლებში.
2. დაამხეს კათოლიკური ეკლესია, რომელიც წარმოადგენდა მთავარ ანტიკომუნისტურ ძალას. საოკუპაციო ხელისუფლებამ დახურა ეკლესიები და უამრავ მოძღვრებთან ერთად დაუპატიმრა უნგრეთის სულიერი მამა, კარდინალი მიღზენტი.
3. აიკრძალა პრესის, სიტყვის და შეკრების თავისუფლება.
4. უნგრეთის ისტორიული კოსუცის ღერბი შეიცვალა საბჭოური ნამგალ-ჩაქუჩით.
5. აიკრძალა ეროვნული დღესასწაულების აღნიშვნა.
6. ეროვნული სამხედრო ფორმა და ნიშნები შესცვალეს საბჭოური ყაიდით.
7. ახალგაზრდობა იძულებით იგზავნებოდა საბჭოთა კავშირში სამუშაოებზე.
8. მოსკოვმა არ განთავისუფლა ომის ტყვეები.
9. ურანიუმის მდიდარი მადნების ექსპლოატაციას აწარმოებდა საბჭოთა კავშირი ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე.
10. რუსებმა დაშალეს ყველა ინდუსტრიალური დანადგარები და გადაიტანეს რუსეთში.
11. უნგრეთის მთელი ეკონომიკა მთისაკუთრა რუსეთმა, სამეურნეო მანქანების და ხორბლეულის მარაგის რუსეთში გაგზავნით ერთ დროს აგრიკულტურულად მდიდარი ქვეყანა, იძულებული გახდა ხორბლეულო უცხოეთიდან შემოეტანა.
12. რუსული ბატონობის განსამტკიცებლად დაარსეს „მთავრობის უშიშროების პოლიცია“ ან „ავო“, როგორც მას უნგრელები უწოდებენ. ეს იყო საბჭოეთის „ნქვდ“-ს ყაიდის ორგანიზაცია.

„ავო“-ს შემადგენლობა შეიცავდა რუსებს, ან რუსეთში გაწვრთვნილ უნგარელებს, რომლებმაც თავი შეიფარეს საბჭოთა კავშირს. ეს შემდეგ, რაც ადმ. ჰორტის რეჟიმმა კომუნისტური პარტია არალეგალურად გამოაცხადა 1920 წელს.

13. „ავო“-ს ორგანიზაცია ემორჩილებოდა „ნქვდ“-ს. ბერიას დაცემის შემდეგ „ავო“-ს განაგებდა რუსი გენერალი სეროვი.

ამას საჭიროა დაემატოს რუსული ბატონობის ტიპიური გამოვლინებები, რომელსაც ადგილი აქვს მთი მიერ დაპყობილ ყველა ქვეყანაში, ეს არის ქალების გაუპატიურება. ერთხელ შეიტყარის ელჩი თავის მთავრობას სწერდა: „ათიდან სამოცდაათი წლის ასაკამდე საოკუპაციო არმიის მერე ქალების ნამუსის ახდა და მათი დაავადმყოფება ისეა გავრცელებული, რომ იშვიათად თუ ვინმე ახერხებს თავის გადარჩენას. ამის გარდა რუსი ჯარისკაცები დღე და ღამე ცარცავენ ხალხს და ოჯახებს. ნამუსის ახდას და ცარცვა-გლეჯას რუსი ჯარის მეთაურობა თვლის ინდივიდუალურ მოვლენად და მას უყურადღებოდ სტოვებს“-ო.

ამან და სხვა მსგავს მიზეზებმა უნგრელებში გაზარდა უკმაყოფილება. მაგრამ აჯანყებაზე მაინც არავინ ფიქრობდა. როგორ საკვირველი არ უნდა იყოს, დასაწყისში, ანტიკომუნისტური მიმართულება, ბანაკკუთრებით ახალგაზრდობაში, სრულებით არ გამომჟღავნებულა. პირიქით, კომუნიზმი, როგორც სახელმწიფოებრივი სისტემა და პრინციპი, ერთგვარ სიმპატიითაც კი სარგებლობდა. სტუდენტობას და ინტელიგენციას, ალბად სასტიკი ინდოქტრინაციის გამო, სჯერდათ კომუნიზმის საბოლოო გამარჯვება. თუმცა თავიდანვე აშკარა იყო, რომ მათ არა სწამდათ საბჭოური კომუნიზმი და რაღაც ახალი ტიპის „სოციალისტური სისტემის“ ძიებაში იყვნენ.

მსგავსი სულისკვეთება სუფევდა უნგრეთში როცა 1956წ. ოქტომბრის 22, დილით, ბუდაპეშტში ხმა გავრცელდა, რომ გომულკას მთავრობამ პოლონეთში მოითხოვა კომუნისტური რეჟიმის „გალიბერალება“ და რუსულმა საოკუპაციო ჯარმა ვარშავის ალყა შემოარტყა.

ამ ამბავმა დიდი გავლენა მოახდინა უნგრელებზე, რომელთა სიმპატია პოლონელებისადმი მრავალსაუკუნოვანია.

იმ დღეს, ბუდაპეშტის ტექნიკოლოგიის უნივერსიტეტის კომუნისტური ახალგაზრდობის ორგანიზაციამ მოაწყო კრება, რომელსაც სტუდენტების გარდა ესწრებოდნენ პროფესორები, მწერლები, უნგრეთის კომუნისტური პარტიის მდივანი და იმავე პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები.

დასაწყისში კრებამ განიხილა წმინდა ტექნიკური საკითხები; როგორიცაა სამსწავლო წიგნების ფასი სასადილოების და მიმოსვლის შეღავათები, საცხოვრებელი ბინების გაუმჯობესება, ინჟინრების გამოყენება და მათი მინიმალური ხელფასი და სხ.

დისკუსიის დროს ლაპარაკი ჩამოვარდა პოლონეთში მომხდარ მოვლენებზე. სტუდენტობამ მოითხოვა პოლიტიკური პროგრამის დამუშავება უნგრეთში დემოკრატიის დასამყარებლად და ამ პროგრამის გადაცემა, როგორც მთავრობის, ისე უნგრეთის ეროსადმი.

„ნახეთ რა მოხდა პოლონეთში?“ წამოიძახა ერთმა სტუდენტმა. „რუსული საოკუპაციო ჯარი ამის შესაძლებლობას არასოდეს არ მოგვცემს“.

„მაშ მოვითხოვოთ რუსული ჯარის გასვლაც“, განაცხადა ერთმა კომუნისტ-ხელმძღვანელმა, „რათა თავისუფლად განვითარდეს პოლიტიკური აზროვნება“.

„ვინ გადადგავს ამ ნაბიჯს?“, შეეკითხა კრების თავმჯდომარე.

დამსწრეებმა ერთხმად განაცხადეს, რომ უნგრეთის კომუნისტურმა პარტიამ ოფიციალურად უნდა მოითხოვოს საბჭოთა შეიარაღებული ძალების „რაც შეიძლება მოკლე ხანში“ გაყვანა.

ამგვარი თანდათანობით დამზადდა სტუდენტების ცნობილი 16 მუხლიანი დეკლარაცია, რომელსაც იმავე დღესვე შეუერთდნენ სხვა ორგანიზაციები. (მწერლები, მუშები და სხ.)

დეკლარაციის მთავარი ყურადღება მიპყრობილი იყო: 1. საბჭოთა ჯარის დაუყოვნებლივი გასვლა უნგრეთიდან.

ახალი მთავრობის შედგენა „ამხანაგი“ იმრე ნაგის მეთაურობით და „ამხანაგები“; იანოშ კადარის, ზოლტან ვასის, და არპად კისის თანამშრომლობით, რომელნიც ცნობილნი იყოიყვნენ, როგორც „ლენინის პრინციპების“ დამცველები. 3. კომუნისტური პარტიის და მისი ცენტრალური კომიტეტის რეორგანიზაცია, 4. საბჭოთა კავშირთან და იუგოსლავიასთან მეგობრობის განმტკიცება თანასწორობის პრინციპზე. 5. საბჭოთა კავშირთან სავაჭრო და ურანიუმის წარმოების ხელშეკრულების გადასინჯვა და სხ...

აჯანყების საქმის შესწავლა გვაფიქრებინებს, რომ უნგრელ პატრიოტებს არ დაუკლიათ „დიპლომატია“ და თადარიგი, რომ ძლიერი მტერი უფრო არ გაესისხლებინათ, არამედ ისენი მასთან „ეშეგობრობას“ მოითხოვდნენ.

მაშ რა აკლდა გამარჯვებისათვის?

უნგრელ პატრიოტებს გამარჯვებისათვის აკლდათ საყოველთაოდ აღიარებული გამარჯვების წინდაწინი პირობა: მათ ვერ მოახერხეს აჯანყების იდეის გარეთ გატანა და მისი მსოფლიო საზოგადოებრივი აზრით შემოსვა.

ალ. ჩხენკელი.

კასტროს გამარჯვების მიზეზი.

მეოცე სუკუნის დასაწყისიდან კუბის ცხოვრება განსაკუთრებული მღელვარების ისტორიაა. ხშირი აჯანყებები, ხელისუფლების ხელიდან-ხელში გადასვლა, ტეროარი, მუქარა, დაშინება, სტუდენტების თავზე ხელაღებულობა და ქუჩებში ყუმბარების სროლა. ეს კუბელის ტემპერამენტისათვის სრულიად ნორმალური მოვლენაა და ამგვარი გატაცება მათ ძალიანაც მოსწონთ. ასეთ გუნებებგანწყობილების პპოფეოზად უნდა ჩაითვალოს ბატისტას რეჟიმი.

ბატისტა, როგორც პიროვნება იყო ანგარიანი და პირად სარგებლის ყველაფერზე მაღლა აყენებდა. ხელისუფლებაში მოსვლისთანავე მან გადაიყენა მისი „გამბატონებელი“ ჯარის მაღალი ოფიცრობა და მათ ადგილზე კაპორალები და სერჟანტები დანიშნა. ამით ბატისტამ იმდენად დასუსტა კუბის შეიარაღებული ძალა, რომ სრულიად დაკარგა ბრძოლის უნარი, თვით შინაგან წესრიგის დაცვისათვისაც კი. ბატისტას აკლდა პოლიტიკური გამჭრიახობაც. ის იმდენად ბეცი იყო და ვერ ითვალისწინებდა მდგომარეობას, რომ 1953 წ. მანიფესტში, რომლითაც ანთავისუფლებდა ყველა პოლიტიკურ პატიმრებს, გაავრცელა კასტროზეც, რომელიც იმ დროს პატიმარი იყო და მისჯილი ჰქონდა 15 წლის ციხე. კასტრო ამ დროს უკვე ცნობილი პიროვნება იყო იმან თავი ისახელა თავის ძმასთან ერთად სახმეგორო ბანაკებზე თავდასხმით, რომელიც მიზნად ისახავდა იარაღის ხელში ჩაგდებას და ბატისტას მთავრობის ჩამოგდებას. ამგვარმა პიროვნებამ მხოლოდ რამოდენიმე თვე დაჰყო ციხეში და, როგორც აღვნიშნედ, 1953 წლის ამნისტიის ძალით განთავისუფლეს.

1953 წ. სამხედრო ბანაკებზე თავდასხმის დროს კასტრო კომუნისტების რჩეული კაცი იყო და ბანაკებზე თავდასხმა მათი რჩევით და დახმარებით მოაწყო. მისი ძმა კი წევრი იყო კომუნისტური პარტიისა. კასტროს პირველ კაცობა ამ საქმეში მისი „უპარტიობით“ აიხსნება. ეს კუბელ კომუნისტების ტაქტიკა იყო, არაკომუნისტების გამოყენების მიზნით.

აჯანყებისათვის უკვე არსებულ პირობებს ემატებოდა ბატისტას მიერ აკრძალული კომუნისტური პარტია, რომელიც აწარმოებდა ენერგიულ არალეგალურ მუშაობას. მას დივერსიისა და საბოტაჟის დიდი ცოდნა და გამოცდილობა ჰქონდა და ბუნებრივეა. კასტროც მას თავისუფლად გამოიყენებდა.

ბატისტას წინააღმდეგ ყოველმხრივ მომზადებულ პირობებში კასტრო სწორედ ის პიროვნება იყო, რომელიც მოძრაობის ლიდერი უნდა გამხდარიყო. მას ჰქონდა მმართველობისადმი ლტოლვა, არსებული ძალების ცოდნა და მისი გამოყენების უნარი, ნიჭი მოვლენების გათვალისწინების და გამბედაობა მოქმედებისათვის. კასტროს პირადი გამოცდილებაც ჰქონდა: ის სტუდენტობის დროს ეკუთვნოდა ჰავანის უნივერსიტეტში არსებულ ტერორისტების ჯგუფს და ყუმბარის სროლის და საბოტაჟის პრაქტიკა ამ დროს შეიძინა.

კასტრო ეროვნულ ფიგურად 1953 წ. იქცა, სამხედრო ბანაკებზე თავდასხის გამო გასამართლებაზე, სადაც მან უშიშრად წარადგინა თავისი პოლიტიკური პროგრამა და იმ დღიდან მის მოძრაობას ეწოდა, სამხედრო ბანაკებზე თავდასხმის დღის, 26 ივლისის სახელი. გასამართლებაზე კასტრომ თავისი პროგრამის დასაყრდენად დემოკრატიული პრინციპი გამოაცხადა. ბატისტას დიქტატურის თამამბეზრებულ ხალხს სხვანაირად ხომ ვერ გაიყოლიებდა. თავისუფლება სიტყვის, თავისუფლება პრესის, თავისუფლება შეკრების, თავისუფლება კერძო თაოსნობის და საკუთრების და სხ., ასეთი იყო კასტროს პროგრამა 1953 წ. ამით მან თავიდანვე დაიზღვია ყველა იმ ქვეყნების და ხალხის მხარის დაჭერა, რომლებიც თავისუფლების პატივისმცემელები არიან. კასტროს, როგორც კომუნისტების მიერ არჩეულ და წინ წაყენებულ პიროვნებას, კომუნისტების მხარის დაჭერა თავიდანვე ჰქონდა, ხოლო თავისი პროგრამის გამოქვეყნებით, მან მოიპოვა შეერთებული შტატების ნდობა და მხარის დაჭერაც.

კომუნისტების მხარის დაჭერა უმთავრესად გამოიხატა ფულადი დახმარებით და აჯანყებულთა კადრების გაწვრთვნით. კუბელის განკარგულებაში დაუყონებლივ გადავიდა საბჭოთა კავშირის და სამხრეთ ამერიკის კომუნისტების სპეციალური ფონდები, რომელიც მრავალ მილიონებით არის წარმოდგენილი. ამ ფულით კასტრო ყიდლობდა არა მარტო ცალკე პიროვნებებს, არამედ მან მოახერხა თვით ბატისტას ერთი მინისტრის და ერთი მთელი ბატალიონის მოყიდვაც.

შეერთებული შტატების საზოგადოებრივი აზრის კასტროს სასარგებლოდ დამუშავებაში უდიდესი როლი ითამაშა აქაურმა პრესამ. ჰერბერტ მატიუსმა აჯანყებული კასტრო მთებში ინახულა. იქიდან დაბრუნებულმა გაზ. ტაიმსის ფურცლებზე გაშალა მისი მოძრაობის იდეები და დაამტკიცა, რომ ეს არის სუფთა ეროვნულ-პატრიოტული საქმე და ის სავსებით განტვირთულია კომუნისტური გავლენისა განან. სტეიტდეპარტამენტმა მატიუსის ცნობები ხალას ბაჯაღლოდ მიიღო და მცირედი ყოყმანის შემდეგ, აკრძალა ბატისტასათვის იარაღის მიყიდვა და გააძლიერა კასტროს შეიარაღება.

კასტროს ძალიან შეუწყო ხელი ბატისტას რეჟიმით უკმაყოფილო ახალგაზრდობის თამამმა მოქმედებამ: გაჩნდა პატარ-პატარა ტეროროისტული, საბოტაჟური და პარტიზანული რაზმები. ახალგაზრდობა კასტროს ამარაგებდა მედიკამენტებით და სურსათ-სანოვაგით.

ცბიერობით და მოტყუებით, ეროვნულ გმირად ქცეული კასტროს მოძრაობა გასცილდა კუბის საზღვრებს და ის საერთაშორისო მოვლენად იქცა. ბატისტას მისი დამარცხება მხოლოდ იდეოლოგიურად შეეძლო, რაც მის ძალას აღემატებოდა, ხოლო როდესაც შეიტყო მისი სიყალბე, უკვე გვიან იყო. ამიტომ ის იძულებული გახდა განშორებოდა კუბას და ბურთი და მოედანი კასტროსთვის დაეთმო.

მაშასადამე კასტროს გამარჯვების მიზეზი იგივე არის, რაც საზოგადოთ აჯანყებების გამარჯვების წინასწარი პირობაა: ხალხს აყოლიება და მისი ერთი ლიდერის გარშემო დადაზმა და აჯანყების იდეის საზოგადოებრივი აზრის ნდობის მოპოვება და მორალურ-მატერიალური დახმარების მიღება.

ძართალია, სიყალბით და მოყუტებით, მაგრამ კასტრომ ეს მოახერხა და როგორც კომუნისტური, ისე ანტიკომუნისტური სამყაროდან საძმარისი დახმარება მიიღო.

გამარჯვებული კასტრო კუბას დაეპატრონა სულ მალე გამოორკვა, რომ კასტრომ მხოლოდ ითამაშა ეროვნული გმირის როლი და სინამდვილეში ის კომუნისტების ტიკინაა. მან თავისუფლების ნაცვლად, კუბის ხალხს, ბატისტაზე უფრო მძიმე მონობის უღელი დაადო. და მისი პირვანდელი თავისუფლების პროგრამა სანის ბუშტივით გასკდა.

კუბაში ეროვნული რევოლუცია საჭირო იყო და ენტუზიაზმი შეხვდა მას კუბელები და კუბის მეგობარი ხალხიც. მაგრამ მათ დიდხანს ეხსომებათ გამარჯვებული დიქტატორის ღალატი.

ს. ცოფაია.

ქართულ სათვისტომოში.

1924 წლის აჯანყების ორმოცდა ერთი წლის თავი მრავალ ტექნიკურ დაპრკოლებების გამო სათვისტომოს გამგეობამ გადაიხადა სექტემბრის ცხრამეტს.

აგვისტოს აჯანყების 40 წლისთავი.

(გადაეცა „რადიოთავისუფლებას“ მიერ).

1924 წლის 29 აგვისტო ერთერთი უდიდესი ტრაგიკული დღეა საქართველოს ისტორიაში. ამ დღეს ჩვენი პატარა ერი იარაღით ხელში აღსდგა უდიდესი კომუნისტური სახელმწიფოს წინააღმდეგ, ვინაიდან ვერ აიტანა უსამართლობა და შეურაცყოფა, თავისუფლების ჩაკვლა, ტერორი და გადასახლება. და, რაც მთავარია ვერ აიტანა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოსპობა, რომელიც შექმნილ იქმნა მთელი ქართველი ერის სურვილით 1918 წლის 26 მაისს, რომლითაც საქართველო თავისი სახით, თავისი კულტურით, თავისი ისტორიით, როგორც თანასწორუფლებიანი და თავისუფალი ქვეყანა შევიდა მსოფლიოს თავისუფალი ქვეყნების საერთო ოჯახში.

სანამ ამგვარ სასოწარკვეთილ ნაბიჯს გადადგავდა, სანამ ქართველი ერი იარაღს ხელში აიღებდა, ქართველმა ერმა, სამი წლის განმავლობაში, 1921 წლიდან, როცა წეთელმა არმიამ დაიპყრო საქართველო,—1924 წლამდე—მიმართა ყველა სხვა ხერხსა და ღონეს, რომ თავი გაეთავისუფლებინა პარტხელმძღვანელობის უკანონო ბატონობისაგან. მანიფესტაციები, მიტინგები, მოლაპარაკებები—ყველაფერი იქმნა გამოყენებული პარტხელმძღვანელობასთან მოსალაპარაკებლად. პარტხელმძღვანელობას მისცეს ასეთი წინადადებაც კი: ჩატარებულ იქმნეს ხალხის დაკითხვა, თუ გინდ მხოლოდ მუშებში და გლეხებში და თუ მათი ერთი მესამედიც კი მხარს დაუჭერს კომპარტიის ხელმძღვანელობას, ქართველი ერი და ყველა პოლიტიკური პარტიები, რომლებიც მაშინ არალეგალურად მუშაობდნენ,—შესწყვეტდნენ ყოველგვარ ბრძოლას კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ. კომპარტიის ხელმძღვანელებმა ეს წინადადება, რა თქმა უნდა, არ მიიღეს ვინაიდან მათ კარგათ იცოდნენ, რომ მათ ქართველ ერში, თვით მუშებსა და გლეხებშიც კი, ხმების ერთი მესამედის მოგროვება არ შეეძლოთ.

ქართველი ხალხი აჯანყდა დამკომის, ე. ი. დამოუკიდებლობის კომიტეტის ხელმძღვანელობით, რომელშიც შედიოდნენ საქართველოს ყველა პარტიკური პარტიის წარმომადგენლები, რა თქმა უნდა, მცირერიცხოვანი კომუნისტების გამოკლებით.

29 აგვისტოს ქართველმა ხალხმა განაიარაღა ადგილობრივი ადმინისტრაცია; თუ ვინმე გაბედადად წინააღმდეგობის გაწევას, მათ მაშინვე არიმეშენენ იარაღს და აპატიმრებდნენ.

აჯანყების პირველი დროშა აღმართეს ჭიათურის მუშახტეებმა. 28-29 აგვისტოს ღამის ორ სააათზე გაისმა პირველი სროლა, ხოლო 29 აგვისტოს დილით მთელი ჭიათურა, ყველა შახტი და გარეუოფლები, აჯანყებულთა ხელში იყო. ყველგან გამოჩკიდა ხალხმა საქართველოს ეროვნული დროშები. მრავალათასოვან მუშებსა და გლეხებში არ გამოჩნდა ათეულებიც კი, რომლებიც დაიცავდნენ კომპარტიის ე. წ. „მუშათა და გლეხთა ხელისუფლებას“.

ამგვარად, თითქმის მთელი საქართველო, აჯანყების პირველსავე დღეს, განთავისუფლებულ იქმნა კომპარტიის ხელისუფლებისაგან. საქართველოს ყოველ კუთხეში ხალხი მხიარულობდა თავისუფლების ეროვნული დროშების ქვეშ.

ვერ იქნა აღებული მხოლოდ თბილისი, სადაც იდგა წითელი არმიის მნიშვნელოვანი ნაწილები, რომლებიც საჩქაროდ მოყვანილ იქმნენ თავისი სადგომებიდან.

სახალხო აჯანყება ჩაქრობილ იქმნა რეგულარული ჯარის ნაწილებით, რომელთაგან ქართული ნაწილები, როგორც არასანდონი, ხელისუფლებამ გამოიყვანა მწყობრიდან. აჯანყების ჩაქრობის შემდეგ პარტხელმძღვანელობამ დაიწყო მასიური დაპატიმრებები, დახვრეტები, გადასახლებები არა მარტო აჯანყების ხელმძღვანელებისა, არამედ აჯანყების უბრალო მონაწილეებისაც. თვით ეს აჯანყება სასამართლოს წინაშე სწორად დაახასიათა და მკოთხ, ე. ი. დამოუკიდებლობის კომიტეტის თავმჯდომარე— კოტე ანდრონიკაშვილმა. მან თავის სპბლოო ოოო სიტყვაში სასამართლოში თქვა: „ჩვენ დავმარცხდით. ქართველი ერი დამარცხებულ იქმნა ფიზიკურად, მაგრამ მორალურად გამარჯვება ჩვენ დაგვრჩაო“.

1924 წლის 29 აგვისტოს აჯანყება დამარცხდა, მაგრამ დარჩა მისი რაინდული, უძლეველი სულისკვეთება. ეს სულისკვეთება კი ისევ გამოამეღოვნა ქართველმა ახალგაზრდობამ და ახალგაზრდა მუშებმა 1956 წლის მარტის დემონსტრაციებში თბილისში. და დღეს, როცა ერისა და პიროვნების თავისუფლების იდეამ გაიმარჯვა აფრიკისა და აზიის ყოფილ კოლონიურ ქვეყნებში, ჯერი მიდგა კომუნისტურ უზარმაზარ კოლონიურ იმპერიაში მიმწყვდეულ ერებზე: ჩვენ გვჯერა, რომ საქართველოც ეღირსება თავის ეროვნულ თავისუფლებას და მაშინ ქართველი ერი ქედს მოიხრის იმ თავდადებული მამულიშვილების სასახოვცემლოდ, რომლებმაც თავი შესწირეს ჩვენი ერის თავისუფლებას!

დიდება და პატივი მათ ხსოვნას!

26 მაისის საქართველო და გერმანია.

(გაგძელება. იხ. „ქართული აზრი“ №71).

თვით საქართველოს გეოგრაფიული მდგომარეობა საოცრად ჩამოჰგავს გერმანიის გეოგრაფიულ მდგომარეობას. როგორც გერმანია გულია ევროპისა, ისე საქართველო გულია კავკასიისა, იგი ცენტრია კავკასიისა. აქედან კავკასიური პოლიტიკის გატარება საქართველოს გარეშე წარმოუდგენელია. „საქართველო—კავკასიის გული, მას კავკასიისათვის აქვს მსგავსი გეოგრაფიულ-პოლიტიკური მნიშვნელობა, როგორც გერმანიას ევროპისათვის“ (ჰერბერტ ფოლკი. ოიდ უნდ მუჰამედ. ბრესლაუ, 1937, გვ. 96.)

მაშასადამე, გერმანიის დახმარების გარეშე წარმოუდგენელი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. ამის შესახებ აი რას ამბობს დამოუკიდებელი საქართველოს იუსტიციის ყოფილი მინისტრი რ. არსენიძე: „შერე რა მძიმე პირობებში განხორციელდა იგი! და რა იმედებით და სასოებით აღავსო ყოველი ქართველის ფოლკი. ჩრდილოეთიდან რუსი კომუნისტების მუქარა, სამხრეთიდან ოსმალეთის ულტიმატუმი. კავკასიელ მეზობლებთან საერთო ფრონტი დარღვეული. ნათელ სხივით მოსჩანდა მხოლოდ გერმანიის მხარის დაჭერა, რომელიც მაშინ ოსმალეთის მოკავშირე იყო. მან გაამართლა კიდეც მოცემული იმედი. ქართველი ხალხი ამას არ დაივიწყებს“ (იხ. რ. არსენიძე; 26 მაისი, ჟურ. „ჩვენი დროშა“ №33, პარიზი, 1960 წ.)

მსოფლიო ომის ვითარებით გამოწვეულ, ამავე დროს საკუთარი ინტერესების მიხედვით, საქართველოს მთავრობის მოწვევით გერმანელები მოვიდნენ საქართველოში. ბევრისათვის ეს მოულოდნელი იყო, ბევრისათვის წარმოუდგენელი, მაგრამ მოვიდნენ...საბედნიეროდ იმ დროს, როცა სამხრეთით ოსმალები და ჩრდილოეთით თეთრი თუ წითელი რუსები განადგურებით ემუქრებოდნენ საქართველოს.

„1918 წლის მაისის ბოლოს ფოთში არაჩვეულებრივ სანახაობას ჰქონდა ადგილი. ნათესადგურს ესტუმრა გემი, გერმანული დროშით. ნაპირზე ბევრი ადამიანი ფოთლიანი რაზმი“. (ო. გ. ფონ ვესენდონკი: აუს დერ კაუკაზუნენ ეელტ. ბერლინნ,გვ. 167-168).

შემდეგ ამას მოჰყვა დიდი გერმანული შეიარაღებული მოსვლა საქართველოში, გენერალ ფონ კრესენშტაინის მეთაურობით. „გერმანული დივიზია გენერალ კრეს ფონ კრესენშტაინის სარდლობით რუმინეთის ნავთსადგურიდან საქართველოს ნავთსადგურში გადმოჯდა.. კრეს ფონ კრესენშტაინი არის აღმოსავლეთის მცოდნე, ერთდროიმავე დროს გენერალი და პოლიტიკოსი. ის მეთაურობს საიმპერატორო გერმანულ დელეგაციას, რომელიც განკუთვნილია კავკასიისათვის...“ (ჰერბერტ ფოლკი: ოიდ უნდ მუჰამედ, ბრესლაუ, 1937, გვ.174 175)

★

1918 წლის მაისის 26-ს, ნაშუადღეოის 5-საათსა და 55 წუთზე ეროვნულმა საბჭომ საქართველოო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, რესპუბლიკად გამოაცხადა. ამის შესახებ ბერლინის გაზეთ „რაიხსოტტეში“ ვკითხულობთ შემდეგ სტრიქონებს: „საქართველოს რესპუბლიკა. ამიერკავკასიის მთავრობის გადადგომა ტფილისში 1-ლ ივნისს. (ცნობა მიღებულია დაგვიანებით). 26 მაისს, აქ, ამიერკავკასიის პარლამენტი, რომელიც ატარებდა სახელმწიფოს უზენაესობას ამიერკავკასიაში და ამ ქვეყნის მთავრობა გადადგა. იმავე დღეს ნაშუადღე

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲠᲘ.

ფ. ლომაშვილი.

ქართული ემიგრაციის ისტორიიდან“.

თბილისი 1965 წ.

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა.

★

წიგნი შეიცავს 130 გვ. და წამძღვარებული აქვს აკ. გიორგი მელიქიშვილის წინასიტყვაობა.

სახელოვანი აკადემიკოსი ბრძანებს: „კარგად ცნობილია ქართველი კაცის უსაზღვრო სიყვარული თავისი ქვეყნისადმი. ათასეული წლების მანძილზე ქართველი ხალხი ოფლით რწყავდა და ხმლით იცავდა თავის ლამაზ სამშობლოს. იშვიათია მსოფლიოში ხალხი, რო მელსაც ამდენი ჭირ-ვარამი და აწიოკება გადაეტანოს დამპყრობელთა ურდოებისაგან. მაგრამ სამშობლოსადმი, მშობლიური კერისადმი სიყვარულმა თავისი გაიტანა. დამპყრობლებმა ვერ შესძლეს წაერთმიათ ქართველი ხალხისათვის სამშობლო, მოესპოთ მისი საუთარი სახეო“.

სამწუხაროდ ჩვენი მეცნიერი არ გვიხსნის, თუ როგორ უნდა გვესმოდეს „სამშობლოს სიყვარული“. ეს არის რამ ეგოისტური, რომ

26 მაისის საქართველო და გერმანია.

გვეხმარა ჩვენი დამოუკიდებლობის დაცვის საქმეში. დღეს საქართველოს სუვერენობას პატრონობს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა, გერმანელთა დახმარებით. (ვ. კოტეტიშვილი: იხ. გაზ. „სახალხო საქმე“ №274, 6. 7. 1918 ტფილისი.

გერმანია დაგვეხმარა იმაშიც, რომ ოსმალეთის ჯარმა დასტოვა ახალციხე და მისი მხარე. ამას კიდეე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სტრატეგიული თვალსაზრისით. უფრო მეტიც, ვიდრე თუ გინდა ბათუმს და მის ნავთსადგურს. მართალია ბათუმი სასიცოცხლო არტერიაა ჩვენი ქვეყნისათვის, მისი დაკარგვა დიდი დაკაკლისია საქართველოსათვის, მაგრამ უკიდურეს შემთხვევაში შავ ზღვაში გასავლელად საქართველოს აქვს ფოთის ნავთსადგური. ახალციხის დაკარგვით მტერი საქართველოს დედაქალაქის მისასვლელ კარებთან ახლო დგას. ოსმალეთისათვის ახალციხე ყოველთვის პლაცდარმი იყო საქართველოს სამეფოსა და სამთავროებზე თავდასხმისათვის. იგი ეხლაც პლაცდარმი იქნებოდა მათთვის ტფილისზე თავდასხმელად. მით უფრო სამხრეთით საქართველოს ისეთ მეზობელთან ჰქონდა საქმე, რომელიც მუდამ მზად იყო საქართველოს თავს დასხმოდა. ერთი მაგალითი მრავალთა შორის: 1918 წლის ივნისის 27-ს ღამით მთავრობას ცნობა მოუვიდა სოხუმიდან, რომ მდინარე კოდორთან, სოხუმის სამხრეთიით ოსმალოებმა დესანტი გადმოსხეს 800 კაცამდე. რაზმს სათავეში უდგას თავადი ალექსანდრე შერვაშიძე, რომელმაც განაცხადა, რომ ოსმალებმა ჯარი გამომტანეს, აფხაზეთის დასაცავად ბოლშევიკებისაგანო. საბედნიეროდ ეს დესანტი დაიმარცხა გენერალმა გ. მაზნიაშვილმა.

ამ შემთხვევის გამო საქართველოს მთავრობამ მიმართა გერმანიის დიპლომატიურ წარმომადგენლებს და მოუთხოა, რომ ოსმალეთის ჯარმა კიდეე დაარღვია რესპუბლიკის საზღვრებიო. გერმანიის წარმომადგენლებმა თავს იდვეს მოლაპარაკება ოსმალეთის მისიასთან. გენერალმა კრეს ფონ კრესენშტაინმა განუმარტა ოსმალებს სოხუმში მათი ნაბიჯების შეუძლებლობა და რომ ეს დარღვევაა საერთაშორისო პირობებისა და ამასთანავე იმ პირობებისაც, რომელიც არსებობს საქართველოს და გერმანიას შორისო. (იხ. „სახალხო საქმე“ 30. 6. 1918 წ.)

ვიმეორებ: მიუხედავად ზავისა, ოსმალები აბა რას დაგიდგებენენ ზავს, მათი აგენტები, ეხლა ბორჩალოს, ანუ საორბელიანოს მოედენენ. ისინი პროპაგანდას ეწევიან ამ მხარეში. შეიარაღებულ შემოკრაზედაც ხელს არ იღებენ. საქართველომ აქედან გაადეგა ოსმალეები, მაგრამ გერმანიის დახმარებით. ბორჩალოში წესრიგი დამყარდა.

„ამ მაზრაში ჩვენ შემოვედით უმთავრესად გერმანელების შეშფოთით, მაგრამ გერმანელებმა სამართლიანად უარი გვითხრეს მაზრის შინაური ცხოვრებაში ჩვენთან ერთად ჩარეოდნენ. მათ მხოლოდ ორ-სამ ალაგას დასტოვეს თავიანთი დარაჯები, ისიც უმთავრესად რკინიგზებზე და აქედან გავიდნენ“. (იხ. „სახალხო საქმე“ 9. 7. 1918 წ.)

(გაგრძელება იქნება)

მინდია ლაშაური.

მისგან რამეს უნდა მოველოდდეთ, თუ სიყვარული გვაჯალდებულებს უანგარო მიძღვნილობას და მარად მისი კეთილდღეობისათვის შრომას და ბრძოლას? არც იმასა ბრძანებს, არის თუ არა წარმოსადგენი ერის, ან პიროვნების ბედნიერება მონობაში? მაშ რატომ აქებენ ჩენ სახელოვან წინაპრებს იმისათვის, რომ „ოფლით რწყავდნენ და ხმლით იცავდნენ“ ჩვენს სამშობლოს და რატომ არიან სასაგებლები ისენი, რომლებიც, წინაპრების მაგალითითი, განაგრძობენ თანამედროვე მპყობელი რუსეთის მიმართაც ბრძოლას?

ან იქნება ვინმემ დაგვიმტკიცოს, რომ რუსი მპყრობელი უკეთესია, ვიდრე ქართველ ხალხს ისტორიულად განუცდია? გადავხედოთ უკანასკნელი 150 წლის ისტორიას და ყველა დარწმუნდება, რომ არც არაბებს, არც მონგოლებს, არც სპარსელებს და არც თურქებს იმაზე მეტი არაფერი უცდიათ, რასაც რუსეთი ცდილობს. ე. ი. გაგვარუსოს და თავის ორგანიერ ნაწილად გვაქციოს! თუ ქართველის სახსენებელი გაქრება ამ ქვეყნად, რა მნიშვნელობა აქვს რუსად ვიქცეეთ თუ სპარსად?

პირთვენელი ისტორია ამ მხრივ რუსეთის სასარგებლოდ არა მუყეველობს. ჩვენ მეცნიერებს, და მათში აკ. მელიქიშვილსაც, ეს ჩვენგან არ ესწავლებათ, მაგრამ ამ საკითხზე აზრის გამოთქმა ტყეედ ქმნილ ქვეყანაში ძნელი წარმოსადგენია და ბუნებრივია, რომ ჩვენმა აკადემიკოსმაც სიჩუმე ამჯობინა

წინასიტყვაობიდანვე ვტყობილობთ, რომ წიგნის ავტორი ფ. ლომაშვილი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატია. ეს წიგნი მას გზას გაუხსნის და სრულ „მეცნიერად და აკადემიკოსად“ აქცევს. მსგავს აკადემიკოსებს ჩვენ სხვებსაც ვიცნობთ. მაგალითისათვის საკმარისია გავიხსენოთ ხაჭაპურიძე, ან ძოწენიძე, რომელმაც 1956 წ. მარტში, როცა რუსის ჯარმა ქართველი ახალგაზრდების სისხლით წითლად შეღება თბილისის მწვანე მდელო, ამაყად დაიძახა: ვის რაში უნდა ჯაკახიშვილის, ჯანაშიას, ბერძენიშვილის, ინგოროყვას და სხვათა ფეოდალური საქართველოს ისტორიებიო.

ჩვენი მეცნიერებისათვის კი ამგვარი განცხადებები ხარკია, ხარკი, შეიძლება მძიმედ გასაღები, მაგრამ მაინც საგალდებული და გასაღები..

ლომაშვილი გაბედულად აცხადებს: „ქართული ემიგრაცია დიდი ხანია აღარ წარმოადგენს არაკითარ პოლიტიკურ ძალას. უფრო მეტიც შეიძლება ითქვას, რომ იგი, როგორც პოლიტიკური ძალა აღარ არსებობს. ახლა ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ მის ნამსხვრევებზე, მსოფლიოს ამა თუ იმ კუთხეში გაფანტულ მცირერიცხოვან ჯგუფებზე და ცალკეულ პიროვნებებზეო“ (გვ. 7.)

ლომაშვილის აზრით, „მიუხდავათ ამისა ემიმპერიალისტური ქვეყნების რეაქციული წრეების დაკვეთითა და დახმარებით. ისინი წერენ სტატიებს, ბროშურებს და წიგნებს, აარსებენ გაზეთებს და ჟურნალებს, მონაწილეობენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ რადიო და ტელეგადაცემებში, აწყობენ კრებებს და მიტინგებს, ქმნიან კავშირებსა და ორგანიზაციებს. ზოგიერთი ქართველი ემიგრანტი მჭიდროდ არის დაკავშირებული აგრეთვე იმპერიალისტური ქვეყნების დაზვერვებთან“-ო. (ა. ს. ს. (იხ. გვ. 122)

როგორაც ვხედავთ ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი დიდ წინააღმდეგობაშია ჩავარდნილი და წიგნის დასაწყისში მტკიცება, თითქოს ემიგრაცია „როგორც პოლიტიკური ძალა აღარ არსებობს“, გაბათილებულია წიგნის 122 გვერდზე გაკეთებული განცხადებით. თურმე ემიგრაცია არსებობს და მას მოქმედების უდიდესი შესაძლებლობაც აქვს. თუ ლომაშვილი ემიგრაციის ღღეევანდელი მესვეურების დასამცირებლად „იმპერიალისტური ქვეყნების „დაზვერვებთან“ კავშირს იხსენებს ხომ ამასვე „უმტკიცებს“ ემიგრაციის ძველ ლიდერებს და ისენიც „პირველი ღღიდანვე ქაცულად უცხო ქვეყნების დაზვერვების აგენტებად“! მაშ რა შეიცვალა? თუ, მიუხედავათ ამისა, პირველი ემიგრაციის მესვეურების არსებობა და მოქმედება მაინც აღიარებულია, რატომ არის გამოცხადებული მათი მემკვიდრეები არ არსებულად?

ჩვენი მხრიდან კი მხოლოდ უნდა ვამაყობდეთ, რომ ჩვენ სახელოვან მედროშეებთან ერთად, „ერთ ტაფაში“ ვართ მოქცეულნი.

მაინც რით ამტკიცებს ფ. ლომაშვილი ქართული ემიგრაციის ან ძველი და ან ახალი მესვეურების „იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან კავშირს? განა შეიძლება საბუთად და დოკუმენტად მივიღოთ გაზეთ „კომუნისტში“, სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული ცნობები, რომლებიც ჩეკის სარდაფებში წამებით და ინკვიზიციით, რომელიმე ტუსალს ათქმევინეს? ლომაშვილები იტყვიან ცოცხლად დარჩენილები არიან ამის გარანტებია. ამ შემთხვევაში იქნებ ლომაშვილმა მოახერხოს ამგვარი მოწმეების რომელიმე ნეიტრალურ ქვეყანაში გამოყვანა და ქართული ემიგრაციის იმპერიალისტური ქვეყნების დაკვეთით მოქმედების დამტკიცება!? ჩვენ, ჩვენის მხრივ მზადა ვართ ამ გვარი სასამართლოს წინაშე წარვსდგეთ და თუ ლომაშვილი თავისი მოწმეებით და დოკუმენტებით მართლა მოახერხებს ამის დასაბუთებას, მაშინ წარუდგებით ქართველ ერს და მას სამართლიან მსჯავრს სულგრძელოდ გავიზიარებთ და შეეასრულებთ.

ჩვენ კი ლომაშვილს ადვილად დამტკიცებთ, რომ ეს ჩვენი, უცხო ქვეყნის, ღღეევანდელი ჩვენი სამშობლოს მპყრობელი, რუსეთის დაკვეთითა აქვს დაწერილი და ის უცხო მპყრობელის ინტერესების დამცველია და მოსამსახურე.

გაზ. „კომუნისტის“, ან ჩეკის ინფორმაციები, რომ დოკუმენტად გამოდგებოდეს, რაღა საჭირო იყო ან სტალინის ბნეგირგანება, ან დახოცილთა „აღდგენა“ და რეაბილიტაცია?

აბა გადახედეთ ახლო წარსულს, არა მარტო ქართველ პატრიოტებს, არამედ თვით კომუნიზმის მთელ პლეადას, განა თავთავის დროზე ყოველმა მთგანმა არ „აღიარა“, რომ მათ „უღალატეს მშრომელ ხალხს, სოციალიზმს, დიდი ლენინის იდეებს“ და ამიტომ არ დაიყრევინეს თავები? ლომაშვილის ღღეევანდელმა პატრონებმა მას შემდეგ რამდენჯერ აღიარეს, რომ ეს „პიროვნების კულტის“ მსხვერპლები იყვნენ!

ან რა რეკომია ის, რომელსაც ღღეს შეუძლიან მასიერად ჟღიტოს დიდი და პატარა და ხვალ გაჟლეტილები უმანკო კრავებად გამოაცხადოს, აღადგინოს და „გააცოცხლოს“! ან ღღეს დიდებითია და ზეიმით დასასფლაოს, ხვალ კი ხალხის მტრად და მეკობრედ გამოაცხადოს; მისი ძვლები მოთხაროს და ძაღლებს გადაუყაროს!?

თურმე ეს, ლომაშვილისათვის ჰუმანური და სრულიად ნორმალური ყოფილა!

ლომაშვილი აქვეყნებს აგრეთვე „დამკომის“ პროკლამაციას, რომელიც მან 1924 წ. სექტემბერში გამოაქვეყნა. იმას კი აღარ ბრძანებს. თუ რა პირობებში მოხდა ეს. როდესაც დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრებს ათიათასი კაცის სიი წინ დაუდეს და მათ წინაშე დადგა საკითხი: ან ხელის მოწერა, ან ახალი მსხვერპლი, რომელი მათგანი დაიშურებდა თავს, ან დაზოგავდა თავის პრესტიჟს და უფრო უარეს რამეზეც არ მოაწერად ხელს?! ეს იყო დამკომის წევრების პარტიოტიზმის უმაღლესი გამოვლინება. ლომაშვილს ჩეკის ყველა არქივი ხელთა ჰქონია და ყველაფერს იყენებს, მაგრამ არ გამოუყენებია დამკომის გასამართლების ცნობები, სადაც გამომქღაველდა მათი მამულიშვილობის და მიძღვნილობის ნიმუში. რატომ ამაზე არაფერს ბრძანებს ლომაშვილი?

1924 წლის აჯანყების გამო დათალხული იყო მთელი საქართველო. არ იყო არც ერთი ოჯახი, რომელმაც ახლობელი, ან შორეული ნათესავ-მეგობარი არ დაკარგა. ვეკმობრ, რომ აქედან გამორიცხული ყოფილიყო ლომაშვილის ოჯახი. მარტო იმითი პატივისცემა მაინც ავალდებულებდა მორიდებით შეხებოდა ამ მტკივნეულ საკითხს. ლომაშვილიც ხომ არ ეკუთვნის იმ კატეგორიის „მოღვაწეებს“, რომლებმაც ერთ დროს დაიყოროყინეს: მამას დავალრჩობ, დედას თავს მოვჭრი, თუ მოკარნახა რევოლუციამო?!

ფ. ლომაშვილის „ისტორიის“ მუხლობრივ გარჩევას ჩვენ არ ვაპირებთ, რადგან მისი წამკითხველი მაშინვე იცნობს პტარა კაცუნის ქვე წარმავალ ბუნებას.

ლომაშვილი თავის წინასიტყვაობაში ბრძანებს: „თუ ვინმეს კამათის საღერღელი აეშლება, მან აქ მოყვანილი ერთი ფაქტი მაინც დაარღვიოსო“. ცხადია, არ არსებული ფაქტების დარღვევა არვის ძალუძს და ამას თვით ოინმაზი ლომაშვილიც ვერ დაარღვევს, ძალიანაც რომ იჯამბაზოს, ეცადოს და მოინდომოს. მაგ ამ რიცა ლომაშვილი ჩეკის ინფუს ფაქტად აცხადებს და სამშობლოსადმი მიძღვნილ მამულიშვილებს სხვადასხვა ქვეყნის დაზვერვების აგენტებად აცხადებს და ამით თითქოს საქართველოს მიერ გაღებულ მსხვერპლს ჩრდილს აყენებს, თავის „პატრონების“ შიგნითაც ხომ უნდა შეიხედოს! ჩვენ სრულიად ვეთხლებით ლომაშვილს, რომ სამშობლოს გამანთავისუფლებელ ბრძოლიდან უნდა გამორიცხული იყოს ბინა დამამდაბლებელი მოქმედება. მაგრამ ასევე უნდა გამორიცხოს თვით ლომაშვილმაც. ეს ხომ ჩეკის ოინი არ არის, არც ემიგრაციის მოგონილი ჭორია, რომ პროლეტარიატის „ლიდერი“, ლენინი, სწორედ გერმანულმა დაზვერვამ გამოაყენა და ის რუსეთში ფრონტის დასაშლელად დალუქული ვაგონით გააგზავნა. ან იქნება, ლომაშვილის აზრით ლენინს ყველაფერი ეპატიება, რდგან ის ილიჩია!?

ფ. ლომაშვილი გვიკრძალავს კიდეც ქართველი ხალხის სახელით ლაპარაკს. ჩვენ ამ საკითხს მრავალჯერ შევეხეთ წინამდებარე გაზეთში და აძულებულნი ვართ ერთხელ კიდეე გავიმეოროთ: ქართველი ხალხის სახელით ლაპარაკის უფლება მხოლოდ იმასა აქვს, ვინც ქართველი ერის მიერ ნებაყოფლობით გამოთქმულ პოზიციას იცავს, ვინც რუსულ ძალადობას და რუსული ხიშტით დამყარებულ რეჟიმს არ შეურიგდა და მას ებრძვის. თუ ლომაშვილი და საზოგადოთ ლომაშვილები ფიქრობენ, რომ მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და ქართველმა ერმა გუნებგანწყობიანება შეიცვალა, ჩვენ კვლავ ვაძლევთ წინადადებას, მოხდეს ქართველი ერის დაკითხვა და რუსის ხიშტის ძალდატანებად გამოთქმულ მის სურვილს ყველა დავიმორჩილოთ.

რაც შეეხება მეორე მსოფლიო ომის დროს ქართველი ემიგრაციის პოზიციას, ამის მსაჯულად რუსული იმპერიალიზმის მხეკალი არ გამოდგება.

ჩვენ გამოვიყენეთ შემთხვევა ჩეენი ქვეყნის მპყრობელთან სბრძოლველად და ღმერთის, ქართველი ერის და ისტორიის წინაშე პასუხისმგებლობის მაღალი შეგნებით, არც მომავალში გაუშვებთ ამგვარ შემთხვეევას და გულზე ლდაკრეფილი არ შეეხვდებით მოვლენებს.

ჩვენ ვიბრძვით ჩვენი ერის ეროვნულ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის და ამ ბრძოლაში გამოვიყენებთ ყველა შემთხვევას, რომელსაც მოვლენები და გარემოებანი წარმოშობენ.

★

აქვე უნდა აღინიშნოს, ღვთისგან დასჯილ და ამით გამოროტებულ ემიგრანტ კალმსნების საყურადღებოდ, რომ დიდ ხანს იფიქრონ, ვიდრე კალამს ხელში აიღებდნენ. ლომაშვილს ჩეკის ინფორმაციის გარდა უხვათა აქვს გამოყენებული „პოზიციაა-ოპოზიციას“ მოთამაშეთაგან თავთავის დროზე გამოქვეყნებული ცილისწამებები და ჩვენი ქვეყნის მტერი არც მომავალში დაეჭიდება, მიუხნეჭნი, თუ ნიო ორკაში, ან სხვაგან დასტამბულ ბოროტად შედგენილ ანეგდოტების კრებულების გამოყენებას.

„ქართული აზრის“ რედაქცია.

ᲘᲝᲡᲔᲑ ᲒᲠᲘᲨᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

გასული აგვისტოს 3-ს, 76 წლის ასაკში სამუდამოდ დახუჭა თვალი ცნობილმა მგოსანმა იოსებ გრიშაშვილმა.

მართალია მას „ზამბახზე მძიმე არაფერი აუწევია“, მაგრამ, როცა საქართველოს განსაცდელში დაინახავდა, ის მზად იყო „პოეტებს ხმალშიც“ შეეჯიბრებოდა.

ჩვენი სამშობლოს ყველაზე უფრო ტრაგიკულ მომენტში, როცა რუსებმა თავის ხიშტებზე წამოაგეს საქართველოს დამოუკიდებლობა, გრიშაშვილმა გაბედულად დაიძახა: „ჰკლავენ საქართველოს, გუთმარჯოს საქართველოს“-ო.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და ნაზ გრძნობების ჟღერისათვის დაბადებული მგოსანი იძულებული იყო საქართველოს შავბედით ცხოვრებას გაჰყოლოდა: ის ვეღარ დაღიოდა „როგორც შამიღი“, ვეღარც ამყღვნებდა, რომ „მომავლის ბედი კვალ და კვალ სდევდა“, მაგრამ ეჭვის შეტანა არ შეიძლება, რომ გული უფრო მეტად ევსებოდა „ბესიკის ბაღში ნაზარდი სევდით“.

კურთხეულ იქნება მთაწმინდის ახალი მოზინადრის სახელი.

G. A. Press
114 St. Mark's Place,
Tel.: 473-0240
New York 10009, N. Y.

საგაზეთო მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

Mr. G. Djakeli
535 E. 78 Street,
New York, N. Y. 10021

ამავე მისამართით უნდა გამოიგზავნოს შეტყობინებები.

EDITOR IN CHIEF: M. Sindikeli.
EDITORIAL BOARD: G. Lolua, G. Zaldastani. W. Ssangulia, Dr. G. Gabriani.